16/09/2022

,,უფალმა განუსვენოს დედოფალ ელისაბედის სულს!” – ბულგარეთის პატრიარქი

ბულგარეთის პატრიარქის ადმინისტრაცია უწმინდეს ნეიფიტეს სამძიმრის წერილს ავრცელებს

,,ღვთისმშობლის – რჩეული ქალწულის შობის დღეს, ჩვენამდე მოვიდა მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი.

დედოფალ ელიზაბედ II-ის გარდაცვალებით დიდმა ბრიტანეთმა და მსოფლიომ დაკარგა ღირსშესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და ღვაწლით მთელი ეპოქა აღნიშნა კაცობრიობის ისტორიული განვითარების რთულ პერიოდებში. ამ მწუხარებისა და განსაცდელის დღეებში ჩვენ ბრიტანელ ხალხს ვუცხადებთ ჩვენს გულწრფელ თანაგრძნობას გამოუსწორებელი დანაკარგის გამო.

ჩვენ გულწრფელად ვთხოვთ უფალ იესო ქრისტეს – მეფეთა მეფეს (გამოცხ. 19:16) განუსვენოს გარდაცვლილ დედოფალ ელისაბედის სულს და ნუგეშისცემა მიანიჭოს ყველა მგკოვიარეს!

† ნეოფიტი

ბულგარეთის პატრიარქი”

პ.ს თავად პატრიარქი ნეოფიტე ჯანმრთელობის გაუარესების გამო კლინიკაშია გადაყვანილი.

wenews.ge